



იმისთანა წმინდა საძმოში, ბოგობილ ბუქ-
უბი სიფყვას, ფყილუბით და ჭებუბით ბუბ-
თის გაცანა ყულა უკანისბბაჟ უსამაგლსია.

გამოდის 1918 წლის
25 ივლისიდან

რესპუბლიკა

ოთხშაბათი, 6 აპრილი. 2022 წ. №46 (9384) ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge ფასი 1 ლარი



კონტრაბანდა?!

სუნი: უკრაინული მხარის მიერ გავრცელებული განცხადების მიზანია საქართველოში შიდა არეულობის პროვოცირება

საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური უკრაინის თავდაცვის სამინისტროს დაზვერვის სამსახურის განცხადებას ეხმაურება და აღნიშნავს, რომ ასეთი ინფორმაციის ურთიერთგაცვლა არაერთი სახელმწიფოთა შორის ხელშეკრულებით არის განსაზღვრული.

უწყების მიერ გავრცელებულ განცხადებაში ნათქვამია, რომ საქართველოს ხელისუფლება იქნება უკომპრომისო ამგვარი დანაშაულის ნებისმიერ შესაძლო შემთხვევასთან დაკავშირებით.

„უკრაინის სამხედრო დაზვერვის მიერ გავრცელებული ინფორ-

მაცია, რომლის მიხედვითაც, თითქოს, საქართველოს სპეციალურ სამსახურებს აქვთ ფარული კავშირები რუსეთის ფედერაციის შესაბამის სამსახურებთან, საქართველოს ტერიტორიის გავლით კონტრაბანდული ტვირთების გადატანის ორგანიზების მიზნით.

აღნიშნული ქმედება, საქართველოს კანონმდებლობით, წარმოადგენს სისხლის სამართლის განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის დანაშაულს. მოვუწოდებთ უკრაინულ მხარეს, დაუყოვნებლივ მოგვანოდონ ამ ინფორმაციის დამადასტურებელი მტკიცებულებები, მათზე სამართლებრივი რეაგირების მიზნით. საქართველოს ხელისუფლება იქნება

უკომპრომისო ამგვარი დანაშაულის ნებისმიერ შესაძლო შემთხვევასთან დაკავშირებით.

აქვე გვსურს აღვნიშნოთ, რომ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური ინფორმაციის გაცვლის მიზნით, გუშინვე შეხვდა საქართველოში უკრაინის საელჩოს წარმომადგენელს. შეხვედრის ფარგლებში, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური დაინტერესდა აღნიშნული ინფორმაციის გავრცელების საფუძველით და მოითხოვა დეტალური ინფორმაციის გაზიარება საკითხთან დაკავშირებით.

შეგახსენებთ უკრაინულ მხარეს, რომ ასეთი ინფორმაციის ურთიერთ გაცვლა არაერთი

სახელმწიფოთა შორის ხელშეკრულებით არის განსაზღვრული.

წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩაითვლება, რომ გავრცელებული განცხადება წინასწარგანზრახული დეზინფორმაციაა, წარმოადგენს უკიდურესად არამეგობრულ და პროვოკაციულ ნაბიჯს და მიზნად ისახავს საქართველოში შიდა არეულობის პროვოცირებას, რომელიც ნებისმიერ შემთხვევაში, უსაფრთხოების საფუძველი უნდა იყოს. უსაფრთხოების საფუძველი უნდა იყოს, რომელიც ნებისმიერ შემთხვევაში, უსაფრთხოების საფუძველი უნდა იყოს.



ირაკლი კობახიძე: უკრაინიდან კონტრაბანდული პროდუქტი სააგაფილის სხიით ოქის წინ შეპოვიდა!

უკრაინიდან კონტრაბანდული პროდუქტი სააგაფილის სხიით ოქის წინ შეპოვიდა. როგორ გადმოკვეთა ამ კონტრაბანდულმა პროდუქტმა უკრაინის საზღვარი, ეს შეგიძლიათ მოიკითხოთ, – ამის შესახებ პარტია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე ირაკლი კობახიძემ უკრაინის თავდაცვის სამინისტროს დაზვერვის მთავარი სამმართველოს ინფორმაციაზე საუბრისას განაცხადა. მისივე თქმით, უკრაინის ხელისუფლება მათ მიერ გავრცელებულ ინფორმაციას ვერ დაამტკიცებს, რადგან ეს ინფორმაცია აბსურდულია.

„რაც შეეხება ბრალდების დამტკიცება-არდამტკიცებას – ეს არის უკრაინის ხელისუფლების პასუხისმგებლობა. როდესაც რაღაცას გაბრალებენ, დამბრალებელმა თვითონ უნდა დაამტკიცოს, რამდენად არის მისი განცხადება სიმართლე. აქედან გამომდინარე, ხელისუფლების პოზიცია არის მარტივი – უკრაინის ხელისუფლებამ უნდა წარმოადგინოს ინფორმაციის წყარო და ამის შემდეგ შეგვიძლია ვიმსჯელოთ ყველაფერზე, თუმცა ჩვენ ვართ დარწმუნებული, რომ ვერც ვერავითარ წყაროს და მტკიცებულებას ვერ წარმოადგენენ. ამას აქვს მარტივი მიზეზი – ეს არის აბსურდი“, – განაცხადა კობახიძემ.



თეა წულუკიანი: ყველაფერი პრის ბინძური ტყუილი!!

ბრმა და ყრუ ოპოზიციის და უკრაინის მთავრობის განცხადება!

ზვიად ტომაჩაკა: ეს იმათ ნააკითხეთ, ვინც საქართველოში აუბად საუბრობს და „ქართველობის რცხვენი“



კუტიანი უკრაინაში საბრძოლველად „ЮНАРМИЯ“-ს წევრების გაგზავნას აკვირებს!

პაპა „ქიქო“, ერთი ხელი მოისპობს...



აკვანე
შეკახილი!



ირაკლი ბერაია: პროპოკასიების სერია შეკიძის ბრალდებებით ბრძელდება!



პოლონიკი ზელენსკი: გათავისუფლებულ რაიონებში ოკუპანტები აკეთებდნენ ისეთ, რაც აღვილობრივებს ნასისტური ოკუპაციის დროსაც კი არ უნახავთ

ჩვენ ვაპატივობთ ყველაფერს, რათა რაც შეიძლება მალე დაავადებით რუსი სამხედროების დანაშაულებთან კავშირში მყოფი ყველა პირი, ვაკეთებთ ყველაფერს მათ დასასჯელად... ამის შესახებ უკრაინის პრეზიდენტმა, ვოლოდიმირ ზელენსკიმ ვიდეომიმართვაში განაცხადა. „დღეს ნამდვილად მიძიმე, ემოციური დღე იყო. ვიმყოფებოდი კიევის ოლქში ოკუპანტებისგან გათავისუფლებულ ქალაქებში – სტოინკაში, ირპენში, ბუჩაში. რა თქმა უნდა, ეს ადგილები აღარ გამოიყურება ისე, როგორც გუშინ. მოკლული უკრაინელების ცხედრები უკვე წაიღეს ქუჩების უმეტესობიდან, თუმცა ეზოებში, სახლებში ჯერ კიდევ რჩებიან მოკლულები. ქალაქები დანგრეულია, ქალაქებში დამწვარი სამხედრო ტექნიკაა, დაცხრილებულია მანქანები. განსაკუთრებით რთულია, ნახო ნატყვიარები ავტომობილებზე, წარწერით „ბავშვები“. ჩვენ ჯერ მხოლოდ დავიწყეთ ოკუპანტების მიერ ჩადენილი გამოძიება. მხოლოდ ბუჩაში ამ დროისთვის ცნობილია 300-ზე მეტი მოკლული და ნანაშრები ადამიანის შესახებ. საგარეო დოკუმენტაცია რიცხვი იქნება გაცილებით დიდი, როდესაც შემოწმდება მთელი ქალაქი. და ეს მხოლოდ ერთი ქალაქია მრავალი უკრაინული დასახლებიდან, რომლის დაპყრობაც რუსმა სამხედროებმა მოახერხეს. უკვე არის ინფორმაცია, რომ ბოროდინკასა და სხვა გათავისუფლებულ ქალაქებში ოკუპანტების მსხვერპლთა რიცხვი კიდევ უფრო დიდია. კიევის, ჩერნიგოვის, სუმის ოლქების გათავისუფლებულ რაიონებში ოკუპანტები აკეთებდნენ ისეთ, რაც ადგილობრივებს 80 წლის წინ ნაცისტური ოკუპაციის დროსაც კი არ უნახავთ“, – განაცხადა ვოლოდიმირ ზელენსკიმ. უკრაინის პრეზიდენტის თქმით, ოკუპანტები ყველა ჩადენილი დანაშაულისთვის პასუხს აგებენ. უკრაინის პრეზიდენტის განცხადებით, მან ეს საკითხი განიხილა ევროკომისიის პრეზიდენტ ურსულა ფონ დერ ლაიენთან და ავსტრიის კანცლერ კარლ ნეჰამერთან. ასევე, ავსტრიის კანცლერთან განიხილა მისი უკრაინაში სამოავლო ვიზიტი. ამასთან, რუსი სამხედროების მიერ ჩადენილი დანაშაულების გამოძიებაზე, რუსეთის წინააღმდეგ ახალ სანქციებზე, თავდაცვით და ჰუმანიტარულ თანამშრომლობაზე ზელენსკი ესაუბრა პოლონეთის პრეზიდენტ ანჟეი დუდას. „ოკუპანტების ყველა დანაშაული ფიქსირდება და ხდება დამნაშავე რუსი სამხედროების მათ მიერ ჩადენილი დანაშაულებისთვის პასუხისგებაში მისაცემად აუცილებელი პროცესუალური საფუძვლის უზრუნველყოფა. მინდა, ხაზი გავუსვა: ჩვენ დაინტერესებული ვართ მაქსიმალურად სრულ, გამჭვირვალე გამოძიებაში, რომლის შედეგებიც ცნობილი და განმარტებული იქნება მთელი საერთაშორისო თანამეგობრობისთვის. ჩვენ უზრუნველყოფთ ყურნალისტიკის მაქსიმალურ წვდომას ბუჩაში და უკრაინის სხვა გათავისუფლებულ ქალაქებში, ასობით ყურნალისტიკის მთელი მსოფლიოდან. ჩვენ დაინტერესებული ვართ იმაში, რომ იქ ჩავიდეს ათასობით ყურნალისტი, რაც შეიძლება ბევრი ყურნალისტი, რომ მთელმა მსოფლიომ ნახოს, რა გააკეთა რუსეთმა“, – განაცხადა ზელენსკიმ. უკრაინის პრეზიდენტის განცხადებით, რუსი პროპაგანდისტების ტაქტიკა კარგად ცნობილია, ისინი მუდმივად ცდილობენ რუსი სამხედროების წინააღმდეგ წაყენებული ბრალდებების უარყოფას. მისივე თქმით, ისინი ამას აკეთებდნენ მაშინაც, როდესაც დონბასში მალაიზიური ავიახაზების სამგზავრო „ბოინგი“ ჩამოვარდა და ახლაც იმავეს აკეთებენ – ცრუობენ, ცდილობენ ფაქტების დამახინჯებას. უკრაინის პრეზიდენტის თქმით, უკრაინა ემზადება ქვეყნის აღმოსავლეთით და სამხრეთით ოკუპანტების უფრო სასტიკი ქმედებებისთვის.

საპატრიარქო: შეუძლებელია, ბუჩანს გაპრესტავება ვიდეო და ფოტოგრაფია ადამიანი სრულად არ შეძრას!

საპატრიარქოს საპატრიარქო უკრაინაში, ბუჩაში განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით, განცხადებას ავრცელებს. „ვრცელდება უამრავი ვიდეო და ფოტოგრაფია უკრაინაში, ქალაქ ბუჩაში რუსეთის სამხედრო მოქმედებების ადგილიდან. მიუხედავად ომის სასტიკი „კანონებისა“, მსგავსი სიმძიმე, რომელიც კადრებში ჩანს, ძნელი წარმოსადგენია. ყოველივე ამის ხილვამ შეუძლებელია, ადამიანი სრულად არ შეძრას. გვინდა, კიდევ ერთხელ გამოვხატოთ დიდი გულსტიკივილი და მწუნარება იმ ტრაგედიის გამო, რომელიც უკრაინაში სამხედრო აგრესიის ვითარებაში ხდება, განსაკუთრებით მძიმეა მშვიდობიანი, უდანაშაულო მოსახლეობის მკვლელობის ხილვა. თანაგრძობას ვუცხადებთ მათ ოჯახებს, ახლობლებს და ვლოცულობთ მათთვის. დაე, უფალმა სავანესა მართლთასა და ანგოს მათი უკვდავი სულები, უკრაინასა და მთელ მსოფლიოს კი მომადლოს მშვიდობა“, – აღნიშნულია საპატრიარქოს განცხადებაში.

ბუჩას ტრაგედია... კოსმოსიდან

The New York Times-მა გააანალიზა სატელიტური გამოსახულებები და ისინი ბუჩაში გადაღებულ ვიდეო და ფოტოკადრებს შეადარა. რუსეთი ამტკიცებს, რომ ქუჩაში გადაღებული, ადამიანების ცხედრების სურათები „კიდევ ერთი ტყუილია“ და ითხოვს გაეროს უშიშროების საბჭოს საგანგებო სხდომას, რომელზეც ბუჩაში „უკრაინელი რადიკალები“



ბის პროვოკაციების“ შესახებ ისაუბრებენ. კრემლის მტკიცების საპირისპიროდ, იმის დასადაგენად, თუ როდის გამოჩნდა ქუჩებში ცხედრები და როდის დაიღუპნენ მშვიდობიანი მოქალაქეები, მედიასაშუალებების ვიზუალური გამოძიების ჯგუფმა სატელიტური გამოსახულებების წინასწარი და შემდგომი ანალიზი ჩაატარა. ანალიზით დადასტურდა, რომ არაერთი მშვიდობიანი მოქალაქე დაიღუპა 3 კვირაზე მეტი ხნის წინ, როდესაც ქალაქს რუსული მხარე აკონტროლებდა.

სარდაფი, საღას რუსი ოკუპანტები მუშაობენ მოქალაქეებს ანაბეჭდენ და სოსავდენ



„პროპაგანდისტები კიევის ოლქის პოლიციის თანამშრომლებთან ერთად ქალაქ ბუჩაში წამების ოთახი აღმოაჩინეს. ბავშვთა ერთ-ერთი სანატორიუმის სარდაფში სამართალდამცველებმა იპოვეს ხუთი კაცის ცხედარი, რომლებსაც ხელები შეკრული ჰქონდათ. რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალების სამხედრო მოსამსახურეები ანამებდნენ დაუცველ მშვიდობიან მოქალაქეებს, შემდეგ კი კლავდნენ“, – ნათქვამია პროკურატურის განცხადებაში. დანაშაულის ადგილზე პროკურორები და პოლიციის თანამშრომლები მუშაობენ.

ასეთი სისასტიკე მხოლოდ რუსებს შეეძლო

უკრაინის ტერიტორიები, სადაც მასობრივი საფლავები და მოკლული მშვიდობიანი მოქალაქეები იპოვეს, „ოკუპაციისა და აგრესორის კონტროლის ქვეშ იყო, ან ისინი აგრესორმა დაბომბა“, – ამის შესახებ ევროკომისიის ოფიციალურმა წარმომადგენელმა, პიტერ სტანომ განაცხადა. „სხვა არავინაა, ვისაც ამ სისასტიკის განხორციელება შეეძლო“, – აღნიშნა პიტერ სტანომ. მისი თქმით, „ომის დანაშაულის ჩამდენი ყველა პირი პასუხს აგებს“.

ბაიდანი პუტინის ბასამართლებას ითხოვს

აშშ-ის პრეზიდენტმა, ჯო ბაიდენმა რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინს ომის დამნაშავე უწოდა და განაცხადა, რომ ომის დანაშაულებზე სასამართლო პროცესი უნდა გაიმართოს. „გახსოვთ, რომ პუტინს ომის დამნაშავე ვუწოდებ, რის გამოც გამაკრიტიკეს. თქვენ ნახეთ, რა მოხდა ბუჩაში. ის ომის დამნაშავეა. თუმცა, ჩვენ უნდა შევადგროვოთ ინფორმაცია. ჩვენ უნდა გავაგრძელოთ უკრაინისათვის იმ იარაღის მიწოდება, რომელიც მას ბრძოლის გასაგრძელებლად სჭირდება და ყველა დეტალი უნდა მოგვიჩვენოთ, რათა ომის დანაშაულებზე სასამართლო პროცესი გაიმართოს. რაც ბუჩაში ხდება აღმაშფოთებელია და ეს ყველაფერი დაინახა“, – აღნიშნა აშშ-ის პრეზიდენტმა.

რუსები ხარკოვის ასაღებად ემზადებიან...

რუსული საოკუპაციო ჯარი უკრაინელი სამხედროების ალყაში მოქცევისთვის და ხარკოვის აღებისთვის ემზადება, – ამის შესახებ უკრაინის თავდაცვის სამინისტროს პრესსპიკერმა, ალექსანდრე მოტუზიანიკმა განაცხადა. „გრძელდება რუსეთის ფართომასშტაბიანი შეიარაღებული აგრესია ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ. მონაწილეების ძირითადი ძალისხმევა მიმართულია თავდასხმით ოპერაციებისთვის მომზადებაზე, რომელთა მიზანსაც უკრაინელი სამხედროების ალყაში მოქცევა და ხარკოვის აღება წარმოადგენს“, – განაცხადა მოტუზიანიკმა. მისივე თქმით, რუსეთი აგრძელებს უკრაინის კრიტიკული ინფრასტრუქტურის ობიექტების განადგურებას და რუსეთის აღმოსავლეთის და ცენტრალური სამხედრო ოლქებიდან დამატებით ქვედანაყოფებს უკრაინის საზღვრებთან აგზავნის.

ომი შესაძლოა კარგახანს გაგრძელდეს


მრწამსი უსაფრთხოების საკითხებში აშშ-ის პრეზიდენტის მრჩეველმა, ჯეიკ სალივანმა განაცხადა, რომ თეთრი სახლი მიიჩნევს, რომ რუსეთი უკრაინის აღმოსავლეთ ნაწილებში შეტევების მიზნით თავისი ჯარების გადაჯგუფებას ახორციელებს. ბაიდენის ადმინისტრაციის წარმომადგენლები მიიჩნევენ, რომ რუსეთი ფოკუსირდება უკრაინული ძალების დამარცხებაზე დონეცკისა და ლუგანსკის რეგიონებში და დონბასის რეგიონის ორ რაიონში, სადაც პრორუსი სეპარატისტები წლების განმავლობაში მოქმედებენ. „რუსეთის მიზანი საბოლოოდ უკრაინის მაქსიმალურად დასუსტებაა“, – აღნიშნა სალივანმა და დასძინა, რომ ომის შემდეგი ეტაპი შეიძლება კვირების ან თვეების განმავლობაში გაგრძელდეს.



სალიჩაზუს, ტატამაზუს!

© ტრიუმფი

შარშან პოლონეთში გამართული ევროპის ჩემპიონატიდან ქართველი ფალაგენები 9 მედალით დაბრუნდნენ. წლევანდელი ფორუმის წინ გამოვთქვით ვარაუდი, რომ „ჯეორჯიანები“ ბუდაპეშტის სალიჩაზე ძველ შედეგს გააუმჯობესებდნენ. მართლაც, ამჯერად ისინი 11-ჯერ ავიდნენ საპატიო კვარცხლბეკზე ვულოცავთ!



ალსანიშნავია, რომ ჯილდოების რაოდენობა ხარისხობრივად უკეთესი გახლავთ (ვარშავაში – 1, 2 და 6, უნგრეთის დედაქალაქში – 2, 4 და 5). ტრადიციისამებრ, ტურნირი ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეებმა დახურეს და 114 ქულით ჩვენმა ნაკრებმა აზერბაიჯანელთა და თურქთა შემდეგ გუნდურ ჩათვლაში მესამე ადგილი დაიკავა. რაც შეეხება პრიზიორთა ნუსხას, იგი ასეთია:
„ოქრო“ – ლერი აბულაძე (63); „ვერცხლი“ – ნუგზარ ნურნუშია (55), შმაგი ბოლქვაძე (72), გელა ბოლქვაძე (82); „ბრინჯაო“ – რობერტ კობლიაშვილი (87). კიდევ უფრო ღირსეულად იასპარეზეს ქართველ-

მა ძიუდოსტებმა თურქეთში დასრულებულ ანტალიის გრანდ სლემზე, სადაც უმაღრეს ბრძოლებში მოხვეჭილი 2-2 „ოქრო-ვერცხლით“ ყველას აჯობეს!

პირველი ადგილი – გიორგი ტერაშვილი (+73), გურამ თუშიშვილი (+100), მეორე ადგილი – ლუბუმ ჩხვიმიანი (60), ლუკა მაისურაძე (90). სხვათა შორის, ვრცელდებოდა ინფორმაცია, რომ თურქეთში იჭიდავება და ძიუდოში დაბრუნებული ვარლამ ლიპარტიანი, მაგრამ ანტალიის ტატამზე იგი არ გამოსულა.

© ფორუმი

უხნოზი გეოტოხა

როგორც მოგეხსენებათ, ფიბამ ევროპის ჩემპიონატების ოთხ ქვეყანაში გამართვის ტრადიცია დაამკვიდრა და ასეთი ფორმატით კონტინენტური ფორუმის მასშინდლობის პატივი საქართველოსაც ერგო იტალიასთან, ჩეხეთთან და გერმანიასთან ერთად. მომავალი საკალათბურთო ზეიმი თბილისის ახალ მულტიფუნქციურ დარბაზში 1 სექტემბერს დაიწყება და ჯგუფური რაუნდის შემდეგ ბრძოლას მედალიებისთვის ბლეი-ოფში თითოეული ექვსეულიდან საუკეთესო კვარტეტები გააგრძელებენ, ხოლო გადამწყვეტი შეხვედრები კოლნში მოეწყობა.

ალსანიშნავია, რომ მსგავსი სისტემით ჩატარდება ევრობასკეტ – 2025-იც კვიპროსში, ფინეთსა და ლატვიაში, მერვედფინალიდან მოყოლებული კი თამაშებს რიგა მიიღებს და ტიტულის მფლობელის ვინაობაც ბალტიისპირეთში გაიკვევია.

რაც შეეხება მეოთხე ორგანიზატორს, ასეთად ჯერჯერობით უკრაინა მოიაზრება, მაგრამ ვინაიდან იქ ამჟამად არავის ესპორტება, სამამულო რომის გაჭიანურების შემთხვევაში სათადარიგო ვარიანტებიც განიხილება. სხვათა შორის, აგრესორ რუსეთის კანდიდატურა თითქმის ერთი თვის წინათ გამოირიცხა და მისი თბილისის ჯგუფში ყოფნა-არყოფნის თაობაზე ფიბამ მისი მიხედვით იმსჯელებს.



© ოვალური ბურთი

ზელიზელ მეორედ



ნათქვამია – ჭკვიანი საკუთარ შეცდომებზე სწავლობსო, მაგრამ პრაქტიკა მოწმობს, რომ არა ყოველთვის. საუბარია ესპანელ მორაგებებზე, რომლებიც ნატურალზაციის რეგლამენტის დარღვევის გამო 2019 წლის მსოფლიოს თასის გათამაშებიდან მოკვეთეს რუმინეთთან და პორტუგალიასთან ერთად, მაგრამ შესაძლებელია გასაღად საფრანგეთში გასამართავი მსგავსი ფორუმის მიღაც დარჩნენ და ამჯერადაც იმავე მიზეზით. როგორც ირკვევა, პირენელებმა

ერთ-ერთ შეხვედრაში სამხრეთაფრიკელი კვეინ ვანდერბერგი ათამაშეს, რაზეც ყურადღება შესარჩევი ტურნირის დასრულების შემდეგ ლუბიტანიელებმა გაამახვილეს და მეზობლებს მსოფლიო რაგბიში უჩივლეს. ამ უკანასკნელმა უკვე ჩატარა წინასწარი გამოძიება და საბოლოო განჩენის გამოსატანად მალე დამოუკიდებელ კომიტეტს შექმნის. იმ შემთხვევაში, თუ სამართალმა ძველებურად ჭამა პური, ელიტურ საზოგადოებას კარპატისპირელი „მუხები“ შეუერთდებიან, სკანდალის ამტეხავებს კი რეპუტაციიდან მოუწევთ მიზნის მისაღწევად „ჩალიჩი“. რაც შეეხება ესპანეთის რაგბის ფედერაციას, იგი ბუნებრივია აცხადებს, რომ ცამდე მართალია.

© მონატრება

უეზარ „კორონაში“

ჩვენი კლუბი ევროპაში – თამამად შეგიძლია ვუწოდოთ პოლონეთის მეორე ლიგის ბინადარ კილცეს „კორონას“, რომელიც ექსტრაკლასაში დასაბრუნებლად იბრძვის. მიზნის მიღწევაში ლეშეკ ოირჟინსკის განვრთნილ გუნდს დიდად უნდა დაეხმაროს ტრავმებით გატანჯული 26 წლის

ფოს ელიტაში ჩატარებულ 50 მატჩში გატანილ 6 ბურთსა და შესრულებულ 9 საგოლე გადაცემას მოჰყვა ხანმოკლე გადამბარებები ბელგიურ „ზულტე ვარეგემსა“ და იჯარით – ყაზახურ „ტობოლ კუსტანაიში“, მაგრამ მთავარი მაინც საქართველოს ეროვნული ნაკრების დაჭაშნიკება გახლდათ.



და აი – ახალი, მაგრამ ძველი გამოწვევა – ისევ იქ, სადაც მშვენივრად იცნობს ადგილობრივ პირობებს, სტადიონებს, გულშემატკივრებს და, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, მოხსნილი აქვს ენის პრობლემა – თავისუფლად საუბრობს პოლონურად.

უნჩიერესი ქართველი ნახევარმცველი ლუკა ზარანდია, რომელიც ვატო არველაძისა და ნიკა კაჭარავას გაკვალულ ბილიკს შეუყვია. აქ თავს ისე ვგრძნობ, როგორც სახლში – ამბობს ჩვენი თანამემამულე და თუ მის კარიერას გავიხსენებთ, მართალიცაა. დიახ, სწორედ გდინიას „არკას“ ლიდერობის ჟამს მიიპოვა თბილისის „ლოკომოტივიდან“ გალეგიონერებულმა „ცაცია“ ტალანტმა იქაური თასი და ორჯერ – სუპერთასი. სულ მეგობარი სახელმწი-

ლემა – თავისუფლად საუბრობს პოლონურად. „კეთილი იყოს თქვენი მობრძანება ყვითელ-წითელ ოჯახში (კლუბის ფერები – რედ) და გისურვებთ წარმატებებს“ – კვიტხულობს „კორონას“ ვებგვერდზე სამთვიანი კონტრაქტის გაფორმების შემდეგ გავრცელებულ ინფორმაციაში. კეთილ სურვილებს ჩვენც ვუერთდებით და ვიმედოვნებთ, რომ სეზონის ფინიშზე ლუკა ისე ათამაშდება, ვილი სანიოლს ეროვნულ ნაკრებშიც გამოაძახებინებს თავს...

© ფორუმი

რაბბი. ქარი კაპი. კეიპთაუნი. სამხრეთ აფრიკა. „შავი ლომი“ – „გოსპოუსი“ (ზიმბაბვე) 34:10 (პირველი ტაიმი – 17:3). ლელოები: ქანდაურაშვილი, ზამთარაძე, ივანიშვილი, აფციაური (3). გარდასახვები: ბაბუნაშვილი, მატკავა.

კალატბურთი. ესპანეთის ლიგა ენდესა. „ტენერიფი“ – „რეალი“ 72:59. გიორგი შერმადინი – 11 ქულა. იგი მარტის თვის MVP გახდა. იტალია. „ტრიესტე“ – „ვირტუსი“ 81:92. თორნიკე შენგელია – 9 ქულა. ნბა. რეგულარული სეზონი. „ინდიანა“ – „დეტროიტი“ 117:121. გოგა ბითაძე – 6 ქულა. მას ფეხის ტრავმის გამო მეორე ტაიმში აღარ უთამაშა.

ხატარი – 2022. როგორც მოგეხსენებათ, მსოფლიოს საფეხბურთო ჩემპიონატების გახსნის მატჩში მონაწილეობის პატივი მასპინძელთა ფუფუნება, მაგრამ წლევანდელი მუნდიალის ორგანიზატორთა გადამწყვეტილებით 21 ნოემბერს თბილისის დროით 14 საათზე ნიდერლანდები და სენეგალი ითამაშებენ.

წყალბტობა. ბელგრადი (სერბეთი). მე-19 ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი. 12 გუნდი, 115 მონაწილე, მათ შორის – 4 ქართველი (მთავარი მწვრთნელი – ალექსანდრე ბართაია, მწვრთნელი – გელა აბულაძე, მსაჯი – სალომე ჯუღელი). ახალგაზრდული კატეგორია. „ოქრო“ – მარიამ შანიძე (ერთმეტრიანი და სამმეტრიანი ტრამპლინი, 16-წლამდელები); „ვერცხლი“ – ლუკა კიკნაველიძე (ერთმეტრიანი და სამმეტრიანი ტრამპლინი, 12-წლამდელები), ალექსანდრე ცხომელიძე (ერთმეტრიანი და სამმეტრიანი ტრამპლინი, 14-წლამდელები), გიორგი ნულუკიძე (სამმეტრიანი ტრამპლინი, 16-წლამდელები). მანვე ბრინჯაოს მედალი მოიპოვა ერთმეტრიანი ტრამპლინიდან ხტობაში.

მოკლედ

ფორმულა – 1. 40-წლიანი პაუზის შემდეგ გასაღად ლას-ვეგასის გრან პრი ქალაქის ქუჩებში ღამით გამართება და ის იქნება მესამე ამერიკული ეტაპი კალენდარში ოსტინისა და მაიამის რბოლების შემდეგ. ტრასა მოიცავს 14 მოსახვევს, 3 სწორ მონაკვეთსა და უსაფრთხოების ორ ზონას. წრის სიგრძეა 6 კილომეტრი, ხოლო საგარეულო მაქსიმალური სიჩქარე – 342 კმ. საათში.

ჩოგბურთი. ინდიან უელსის მასტერსი (აშშ). ჩემპიონები. ვაჟები. პაბლო ალკარასი (ესპანეთი); ქალები. იგა შვიონტეკი (პოლონეთი). იგი მსოფლიო კლასიფიკაციის პირველი ნომერი გახდა. მარბელა (ესპანეთი). 125.000-იანი საერთაშორისო ტურნირი. წყვილთა თანრიგი. პირველი ადგილი. ეკატერინე გორგოძე, ირინა მარია ბარა (რუმინეთი).



